ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:№44. 44260279

თარიღი:27/01/2026

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-4, მე-5 და მე-12 ნაწილების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ IX თავის საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით.

**2.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა/. გიორგი ცხაკაია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ/. მამუკა ხიმშიაშვილი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ/. გიორგი გოგალაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის

დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ/. ირაკლი გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ე/. ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ვ/. ანდრო მარჯანიშვილი - ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ზ/. თეონა მაკარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

თ/. თეა აბდალაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ი/. ნინო ხიჯაკაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.

**3.** სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით საზოგადოების ინფორმირება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო განხილვის გამართვა.

**4.** სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების პროექტის შესახებ ინფორმაციის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://www.kutaisi.gov.ge/ განთავსება.

**5.** სამუშაო ჯგუფმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო განხილვის გამართვამდე 30 სამუშაო დღით ადრე უზრუნველყოს საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://www.kutaisi.gov.ge/ განთავსება.

**6.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია მინიმუმ უნდა შეიცავდეს:

ა/. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N182 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების მოკლე შინაარსს;

ბ/. უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;

გ/. ინფორმაციას გეგმარებითი ერთეულის საზღვრების შესახებ;

დ/. გეგმის კონცეფციის რეზიუმეს;

ე/. საჯარო განხილვის ჩატარების დროსა და მისამართს;

ვ/. დოკუმენტაციის გაცნობის საშუალებების შესახებ ინფორმაციას;

ზ/. საჯარო განხილვაზე დასწრებისა და მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციას.

**7.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სივრცის დაგეგმარების გეგმების/ქალაქთმშენებლობითი გეგმების კონცეფციის/ პროექტის განხილვის პროცესში ორგანიზებულ საჯარო განხილვებში, რომელიც იმართება ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 40 სამუშაო დღისა.

**8.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო განხილვის დასრულებიდან არანაკლებ 15 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს წერილობით წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების პროექტთან დაკავშირებით.

**9.** საჯარო განხილვის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

**10.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://www.kutaisi.gov.ge/.

**11.** ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

**12.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ქუთაისი, ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

**13.** ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი